

შპს „სინგულარ ჯგუფი“

მცირე და საშუალო საწარმოებისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო
სტანდარტების (მსს ფასს-ის) მიხედვით მომზადებული

ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

სარჩევი

ფინანსური ანგარიშგება

მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	1
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	2
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	3
ფულადი მოძრაობის ანგარიშგება.....	4

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

1. ინფორმაცია კომპანიის შესახებ.....	5
2. კომპანიის საოპერაციო გარემო.....	5
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები	5
4. გადამწყვეტი მნიშვნელობის სააღრიცხვო განსჯა და შეფასების უზუსტობის ძირითადი მიზეზები .	12
5. ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან	13
6. თვითღირებულება.....	13
7. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	13
8. მოგების გადასახადი.....	13
9. ძირითადი საშუალებები	14
10. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები.....	14
11. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები	14
12. საწესდებო კაპიტალი	15
13. სავაჭრო და სხვა კრედიტორული ვალდებულებები.....	15
14. გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან და დაუფარავი ნაშთები	15
15. პირობითი ვალდებულებები	16
16. ანგარიშგების პერიოდის შემდგომი მოვლენები	17
17. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება	17

შპს „სინგულარ ჯგუფი“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

ქართულ ლარში

	შენიშვნები	2023	2022
ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან	5	13,565,729	11,915,182
თვითღირებულება	6	(10,345,598)	(8,674,740)
საერთო მოგება		3,220,131	3,240,442
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	7	(1,430,691)	(719,741)
მიწოდების და მარკეტინგის დანახარჯები		(10,438)	-
სხვა საოპერაციო ხარჯი		-	(321,850)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული მოგება		1,779,002	2,198,851
ფინანსური ხარჯი		-	-
სხვა არა საოპერაციო ხარჯი		-	(411,633)
წმინდა სავალუტო ზარალი/მოგება		52,231	(266,002)
წლის მოგება		1,831,233	1,521,216
მოგების გადასახადი	8	-	-
წლის მოგება/(ზარალი)		1,831,233	1,521,216
სხვა სრული შემოსავალი		-	-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი/(ზარალი)		1,831,233	1,521,216

გამოსაცემად დამტკიცებულია და ხელმოწერილია 2024 წლის 18 სექტემბერს

დირექტორი (კორმაკ თომას ო'ბრაიენი)

	შენიშვნები	31-დეკ-23	31-დეკ-22
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	9	751,449	837,479
არამატერიალური აქტივი		1,027	1,280
სულ გრძელვადიანი აქტივები		752,476	838,759
მიმდინარე აქტივები			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	10	1,039,332	415,274
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები	11	3,082,247	1,745,062
გადახდილი ავანსები		91,784	133,343
სულ მიმდინარე აქტივები		4,213,363	2,293,679
სულ აქტივები		4,965,839	3,132,438
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	12	1,285,591	1,285,591
გაუნაწილებელი მოგება		3,646,742	1,815,509
სულ კაპიტალი		4,932,333	3,101,100
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები		31,858	14,845
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა კრედიტორული ვალდებულებები	13	1,648	15,662
საგადასახადო ვალდებულებები		-	831
სულ მიმდინარე ვალდებულებები		1,648	16,493
სულ ვალდებულებები		33,506	31,338
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		4,965,839	3,132,438

შპს „სინგულარ ჯგუფი“

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

ქართულ ლარში

	შენიშვნა	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
2021 წლის 31 დეკემბერს		1,285,591	294,293	1,579,884
საწესდებო კაპიტალი				-
წლის მოგება			1,521,216	1,521,216
2022 წლის 31 დეკემბერს		1,285,591	1,815,509	3,101,100
საწესდებო კაპიტალი				-
წლის მოგება			1,831,233	
2023 წლის 31 დეკემბერს		1,285,591	3,646,742	4,932,333

5-18 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს

შპს „სინგულარი ჯგუფი“

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

ქართულ ლარში

	შენიშვნა	2023	2022
საოპერაციო საქმიანობა			
მომხმარებლისაგან მიღებული ფულადი სახსრები		13,116,954	11,032,993
მომწოდებლებზე გაცემული ფული		(1,237,471)	(777,116)
თანამშრომლებზე გაცემული ფული		(10,894,290)	(8,200,763)
მიღებული პროცენტი		-	-
ბანკის საკომისიო		(1,485)	(1,314)
საგადასახადო ხარჯი		(202,072)	(770,647)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები		781,636	1,283,153
საინვესტიციო საქმიანობა			
ძირითადი საშუალებების შეძენა		(142,730)	(997,673)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები		(142,730)	(997,673)
ფინანსური საქმიანობა			
სესხის აღება		-	-
ვალდებულებაზე გაცემული ფული		-	-
ფინანსურ საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები		-	-
ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა		638,906	285,480
ფულად სახსრებისა და მათი ეკვივალენტებიდან წარმოქმნილი წმინდა საკურსო სხვაობა		(14,848)	(87,919)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისში		415,274	197,561
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის ბოლოს	10	1,039,332	415,274

5-18 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს

შპს „სინგულარ ჯგუფი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

ქართულ ლარში

1. ინფორმაცია კომპანიის შესახებ

შპს „სინგულარ ჯგუფი“ რეგისტრირებული ნომრით: 204577065 (შემდგომში „კომპანია“) არის საქართველოში 2009 წლის 18 დეკემბერს დაფუძნებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება.

კომპანიის ძირითადი საქმიანობას წარმოადგენს სხვადასხვა სახის პროგრამული უზრუნველყოფის და შესაბამისი მომსახურების გაწევა. 2023 წლის ბოლოსთვის კომპანიას 89 თანამშრომელი ჰყავდა (2022 წ.: 87).

2021 წლის ივლისამდე კომპანიის მფლობელები იყვნენ გიორგი შამუგია (43%), დარკო გაცოვ (14%), აკაკი მელაძე (43%) (შემდგომში დამფუძნებლები). 2021 წლის 23 ივლისის გაფორმებული ხელშეკრულების მიხედვით, ამავე წლის აგვისტოში კომპანიის 100% წილი გაიყიდა და გადავიდა Paddy Power Holdings Limited, 018135V -ის მფლობელობაში (შემდგომში მშობელი კომპანია).

კომპანიის ძირითადი საოპერაციო ოფისი და იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი, ჩუღურეთის რაიონი, ჩუბინაშვილის ქ. 55

2. კომპანიის საოპერაციო გარემო

კომპანია ძირითად საქმიანობას საქართველოში აწარმოებს. საქართველო განვითარებადი ბაზრის კონკრეტული თვისებებით, მათ შორის შედარებით მაღალი საპროცენტო განაკვეთებით ხასიათდება. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა სხვადასხვაგვარ ინტერპრეტაციებს და ხშირ ცვლილებებს ექვემდებარება. საგადასახადო, სამართლებრივ, ნორმატიულ და პოლიტიკურ მოვლენებთან ერთად, საქართველოს სამომავლო ეკონომიკური მიმართულება დიდად არის დამოკიდებული მთავრობის მიერ მიღებული ეკონომიკური, ფინანსური და ფულად-საკრედიტო ზომების ეფექტურობაზე.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები

შესაბამისობა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასსს) მიერ მცირე და საშუალო საწარმოებისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად (მსს ფასს სტანდარტები).

მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადდა იმ დაშვებით, რომ კომპანია წარმოადგენს ფუნქციონირებად საწარმოს და განაგრძობს ფუნქციონირებას განჭვრეტად მომავალში.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების მეთოდით. პირვანდელი ღირებულება, როგორც წესი, ეყრდნობა აქტივის სანაცვლოდ გაღებული საზღაურის სამართლიან ღირებულებას.

სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად, ან გადაიხდება ვალდებულების გადაცემის შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში შეფასების თარიღისთვის, იმისდა მიუხედავად, ეს ფასი პირდაპირ დაკვირვებადია, თუ შეფასების სხვა

მეთოდით არის განსაზღვრული. აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების განსაზღვრისას კომპანია იმ შემთხვევაში ითვალისწინებს აქტივის და ვალდებულების თავისებურებებს, თუკი ბაზრის მონაწილეები გაითვალისწინებდნენ ამ თავისებურებებს შეფასების თარიღისთვის აქტივის ან ვალდებულების ფასის განსაზღვრისას.

სამუშაო ვალუტა. კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მუხლები გამოსახულია იმ ეკონომიკური გარემოს ვალუტაში, რომელშიც ეს საწარმო საქმიანობს (შემდგომში „სამუშაო ვალუტა“). კომპანიის სამუშაო ვალუტაა ქართული ლარი („ლ“). ფინანსური ანგარიშგების წარსადგენი ვალუტაა ლარი, თუ სხვაგვარად არ იქნება მინიშნებული.

ურთიერთგაქვითვა. ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები ურთიერთგაქვითება და წმინდა თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს აღიარებული თანხების ურთიერთგაქვითვის იურიდიული უფლება და არსებობს აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგაქვითვის ან ერთდროულად აქტივის რეალიზაციისა და ვალდებულებების დაფარვის სურვილი. შემოსავალი და ხარჯი მოგება-ზარალის ანგარიშგებაში არ გაიქვითება, თუ ეს არ მოითხოვება ან დაიშვება ბუღალტრული აღრიცხვის რომელიმე სტანდარტით ან ინტერპრეტაციით, რომლის შესახებაც საგანგებოდ მიეთითება კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკაში.

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა აღწერილია ქვემოთ:

შემოსავლის აღიარება

ამონაგები ფასდება მიღებული ან მისაღები საზღაურის სამართლიანი ღირებულებით და ის წარმოადგენს მიწოდებული მომსახურებისთვის მისაღებ თანხებს, აღირიცხება ფასდაკლებების და დამატებული ღირებულების გადასახადების გამოკლებით. კომპანია ამონაგებს აღიარებს მაშინ, როდესაც შესაძლებელია შემოსავლის საიმედოდ შეფასება, ასევე სავარაუდოა, რომ მომავალი ეკონომიკური სარგებელი საწარმოში შემოედინება და დაკმაყოფილებულია კონკრეტული კრიტერიუმები კომპანიის ყველა საქმიანობისთვის, ქვემოთ აღწერილი ფორმით.

მომსახურების გაწევა

შემოსავალი მომსახურების ხელშეკრულებიდან აღიარდება ხელშეკრულების შესრულების ეტაპზე დაყრდნობით. ხელშეკრულების შესრულების ეტაპი შემდეგი სახით განიმარტება:

- შემოსავალი გრძელვადიანი ხელშეკრულებიდან აღიარდება ისეთი სახელშეკრულებო განაკვეთებით, როგორც არის მუშაობის საათები და მიწოდებული ბილეთები.
- თუ ხელშეკრულების შესრულების ეტაპი ვერ შეფასდება გაწეული მომსახურებების საათებით, შემოსავალი აღიარდება ყოველთვიურად, მომსახურების ხელშეკრულების ვადის განმავლობაში.

გადავადებული შემოსავალი

გაწეული მომსახურებისთვის მიღებული ავანსები გადავადებული შემოსავლის სახით აღირიცხება. კომპანია შემოსავალს აღიარებს კლიენტისთვის შესაბამისი მომსახურების გაწევისას, მომსახურების საათების საფუძველზე ან ხელშეკრულების ვადის დროის პროპორციულად.

უცხოური ვალუტები

ამ საწარმოს სამუშაო ვალუტისგან განსხვავებულ ვალუტებში (უცხოურ ვალუტებში) გამოხატული გარიგებების აღიარება ხდება ამ გარიგებების თარიღებით მოქმედი სავალუტო კურსებით. ანგარიშგების ყველა თარიღში, უცხოურ ვალუტებში გამოხატული ფულადი მუხლების გადაყვანა ხდება ამ თარიღით

მოქმედი კურსის გამოყენებით. ყველა რეალიზებული და არარეალიზებული შემოსულობა და ზარალი, რომელიც საკურსო სხვაობით წარმოიშვება შესულია ამ პერიოდის მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ქვემოთ მოცემულია სავალუტო კურსები წლის ბოლოს მდგომარეობით, რომლებიც გამოიყენა კომპანიამ წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მიზნებისთვის:

	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
აშშ დოლარი/ლარი	2.6894	2.7020
ევრო/ლარი	2.9753	2.8844

გადასახადები

დამატებული ღირებულების გადასახადი

შემოსავლების, ხარჯებისა და აქტივების აღიარება ხდება დამატებული ღირებულების გადასახადის თანხის გამოკლებით, გარდა იმ შემთხვევებისა:

- როდესაც აქტივების ან მომსახურების შესყიდვაზე დარიცხული დამატებული ღირებულების გადასახადი არ ექვემდებარება საგადასახადო ორგანოსგან დაბრუნებას, ასეთ შემთხვევაში, დამატებული ღირებულების გადასახადის აღიარება ხდება აქტივის შესყიდვის ღირებულების ნაწილად ან ხარჯების მუხლში, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე.
- დებიტორული და კრედიტორული დავალიანებებისა, რომელიც მოიცავს დამატებული ღირებულების გადასახადს.

საგადასახადო ორგანოებისთვის გადასახდელი ან მათგან დასაბრუნებელი დამატებული ღირებულების გადასახადის წმინდა ოდენობა ასახულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშის დღე აქტივის (ანაზღაურებადი დღე) ან ვალდებულების ნაწილში.

არამატერიალური აქტივები

ცალკეული არამატერიალური აქტივი პირველადი აღიარებისას აღირიცხება თვითღირებულებით. თავდაპირველი აღიარების შემდგომ არამატერიალური აქტივები აღირიცხება თვითღირებულებით, რასაც აკლდება აკუმულირებული ამორტიზაცია და აკუმულირებული გაუფასურებით გამოწვეული ზარალი.

არამატერიალური აქტივების აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი ფასდება, როგორც გასხვისების შედეგად მიღებულ წმინდა შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა და მისი აღიარება ხდება სრული შემოსავლის განცალკევებულ საწყის ანგარიშგებაში, როდესაც აქტივის აღიარება წყდება.

არამატერიალური აქტივის ამორტიზაცია გამოითვლება დარიცხვის წრფივი მეთოდით აქტივების სასარგებლო გამოყენების სავარაუდო 10 წლიან ვადაზე.

განსაზღვრული სასარგებლო ვადის მქონე არამატერიალური აქტივების გაუფასურება ფასდება მაშინ, როდესაც არსებობს ამ არამატერიალური აქტივის შესაძლო გაუფასურების ნიშნები.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, რასაც აკლდება აკუმულირებული ცვეთა და საჭიროების შემთხვევაში, გაუფასურებით გამოწვეული ზარალი.

ძირითადი საშუალებების ერთეულების პირვანდელი ღირებულება მოიცავს (ა) მის შესყიდვის ფასს, მათ შორის იმპორტის მოსაკრებელს და შესყიდვის არადაბრუნებად გადასახადებს, სავაჭრო ფასდათმობების და ფასდაკლებების შემდეგ; (ბ) ნებისმიერ ხარჯს, რომელიც პირდაპირ უკავშირდება ერთეულის საჭირო ადგილზე და მდგომარეობაში მოყვანას, კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ დაგეგმილი წესით ფუნქციონირებისთვის; (გ) ერთეულის დემონტაჟისა და ტერიტორიიდან გატანის, ასევე იმ ტერიტორიის აღდგენის ხარჯების თავდაპირველ შეფასებას, რომელზედაც ამგვარი ერთეული იყო განთავსებული, და (დ) ვალდებულება, რომელსაც კომპანია გასწევს ერთეულის შეძენისას ან კონკრეტული პერიოდის განმავლობაში ერთეულის გამოყენების შედეგად, ამ პერიოდის განმავლობაში სასაქონლო-მატერიალური მარაგების წარმოების მიზნისაგან განსხვავებული მიზნით.

ამის შემდეგ, კაპიტალიზებული ხარჯები მოიცავს კეთილმოწყობისა და გამოცვლის ძირითად დანახარჯებს, რომლებიც აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადას ახანგრძლივებს ან ზრდის შემოსავლის წარმოქმნის სიმძლავრეს. შეკეთების და ტექნიკური მომსახურების ხარჯები, რომლებიც არ აკმაყოფილებენ კაპიტალიზაციის არსებულ კრიტერიუმებს, გაწევისთანავე აისახება მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ძირითადი საშუალებების ამორტიზაცია დაირიცხება აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში ამორტიზებული თანხის ჩამოწერის გზით. ძირითადი საშუალებების ჯგუფების სასარგებლო მომსახურების ვადებია:

სასარგებლო მომსახურების ვადა წლებში	
შენობები	30
მანქანა-დანადგარები	10-15
კომპიუტერული ტექნიკა	5
საოფისე ქონება	5-7
სხვა აღჭურვილობა	3

ამორტიზებული თანხა ძირითადი საშუალების ერთეულის თვითღირებულებაა, მისი ნარჩენი ღირებულების გამოკლებით. ნარჩენი ღირებულება წარმოადგენს სავარაუდო თანხას, რომელსაც კომპანია ძირითადი საშუალებების გასხვისებიდან მიიღებდა, გასხვისების სავარაუდო ხარჯების დაქვითვის შემდეგ, აქტივი მოძველებული და ისეთ მდგომარეობაში რომ ყოფილიყო, როგორიც მოსალოდნელია სასარგებლო მომსახურების ვადის დასრულებისთვის.

ნარჩენი ღირებულება, სასარგებლო მომსახურების ვადები და ცვეთის მეთოდი ყოველი ფინანსური წლის ბოლოს გადაიხედება. წინა შეფასებებში ნებისმიერი ცვლილების გავლენა პერსპექტიულად აღირიცხება, სააღრიცხვო შეფასებებში ცვლილების შესაბამისად.

ძირითადი საშუალებების ერთეულის გაყიდვის ან გასხვისების ან ექსპლუატაციიდან ამოღების შედეგად მიღებული შემოსულობა ან ზარალი განისაზღვრება, როგორც აქტივის გაყიდვიდან მიღებულ შემოსავალსა და მის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა და მისი აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში.

ანარიცხები

ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანიას აქვს მიმდინარე (იურიდიული ან კონსტრუქციული) ვალდებულებები წარსულში მომხდარი მოვლენების გამო მოსალოდნელია, რომ კომპანიისგან მოთხოვნილი იქნება ვალდებულების დაფარვა და შესაძლებელი იქნება ვალდებულებების მოცულობის მეტ-ნაკლები სიზუსტით შეფასება.

ანარიცხებად აღიარებული ოდენობა წარმოადგენს იმ თანხის ყველაზე ზუსტ შეფასებას, რომელიც საჭირო იქნება მიმდინარე ვალდებულების დასაფარად ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის, ამ ვალდებულებასთან დაკავშირებული რისკებისა და გაურკვევლობების გათვალისწინებით. როდესაც ანარიცხები ფასდება მიმდინარე ვალდებულების გასასტუმრებლად საჭირო ფულადი ნაკადებით, მისი საბალანსო ღირებულება არის ამ ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულება.

თუ ანარიცხების დაფარვისთვის საჭირო ეკონომიკური სარგებლის ნაწილობრივ ან მთლიანად მიღება მესამე მხარისგან არის მოსალოდნელი, დებიტორული დავალიანების აღიარება აქტივად ხდება მაშინ, როდესაც ფაქტობრივად გარანტირებულია ანაზღაურების მიღება და დებიტორული დავალიანების თანხის სარწმუნოდ შეფასება შესაძლებელია.

პირობითი აქტივები და ვალდებულებები

პირობითი ვალდებულებები არ აღიარდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თუმცა წარმოდგენილია ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეკონომიკური სარგებლის შემცველი რესურსების გადინების ალბათობა დაბალია. პირობითი აქტივები არ აღიარდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თუმცა ისინი განხილულია ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც სავარაუდოა ეკონომიკური სარგებლის მიღება.

ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები აღიარდება იმ დროს, როდესაც კომპანია ხდება ინსტრუმენტების სახელშეკრულებო დებულებების მხარე.

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები თავდაპირველად ფასდება სამართლიანი ღირებულებით. გარიგების დანახარჯები, რომლებიც პირდაპირ განეკუთვნება ფინანსური აქტივების ან ფინანსური ვალდებულებების შეძენას ან გამოშვებას (მოგებაში ან ზარალში სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების გარდა), პირველადი აღიარებისას, შესაბამისად, ემატება ან აკლდება ფინანსური აქტივებისა თუ ფინანსური ვალდებულებების სამართლიან ღირებულებას. გარიგების დანახარჯები, რომლებიც პირდაპირ განეკუთვნება მოგებაში ან ზარალში სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების შეძენას ან გამოშვებას, მაშინვე აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივები იყოფა შემდეგ კონკრეტულ კატეგორიებად: 'სამართლიანი ღირებულებით შეფასებულ და მოგებაში ან ზარალში ასახულ ფინანსურ აქტივებად', 'დაფარვის ვადამდე ფლობილ საინვესტიციო ფასიან ქაღალდებად', 'გასაყიდად გამიზნულ ფინანსურ აქტივებად' და 'სესხებად და დებიტორულ დავალიანებებად'. კლასიფიკაცია დამოკიდებულია ფინანსური აქტივის ხასიათსა და მიზნობრიობაზე და განისაზღვრება თავდაპირველი აღიარებისას.

კომპანიის ძირითადი ფინანსური აქტივებია ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.

კომპანია ფინანსური აქტივების გაუფასურებას კომპანიებისთვის ინდივიდუალურად აფასებს.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის სასესხო ინსტრუმენტის ამორტიზებული ღირებულების გაანგარიშებისა და შესაბამის პერიოდზე საპროცენტო შემოსავლის განაწილების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ახდენს მომავალში მოსალოდნელი ფულადი ნაკადების (მათ შორის ყველა გადახდილი ან მიღებული გასამრჯელო, რომლებიც ეფექტური საპროცენტო

განაკვეთის განუყოფელი ნაწილია, გარიგების დანახარჯები და სხვა პრემიები თუ დისკონტები) დისკონტირებას სავალო ინსტრუმენტის მოქმედების მოსალოდნელ ვადაზე ან, საჭიროების შემთხვევაში, უფრო ხანმოკლე ვადაზე, თავდაპირველი აღიარებისას დაფიქსირებულ წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. სასესხო ინსტრუმენტებისთვის შემოსავალი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მოიცავს ნაღდ ფულს ბანკში სამთვლიანი ან ნაკლები დაფარვის ვადით, რომლებიც მარტივად კონვერტირდება ფულადი სახსრების ცნობილ ოდენობად, ღირებულებაში ცვლილების უმნიშვნელო რისკის გათვალისწინებით.

სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები

სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებების შეფასება შემდგომში ხდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. მოკლევადიანი სავაჭრო მოთხოვნები, რომლებზეც პროცენტი არ ირიცხება, ნომინალური ღირებულებით აღირიცხება. მოსალოდნელი უიმედო თანხების შესაბამისი რეზერვები აღიარდება მოგებაში ან ზარალში, როდესაც არსებობს აქტივის გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება. აღიარებული რეზერვი ფასდება, როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და სამომავლო ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებას შორის, რომელიც მიიღება თავდაპირველი აღიარებისას ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეშვეობით დისკონტირებით.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს ფინანსური აქტივების ფასდება შესაძლო გაუფასურების ნიშნების აღმოსაჩენად. ფინანსური აქტივები გაუფასურებულად ითვლება მაშინ, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ფინანსური აქტივის პირველადი აღიარების შემდეგ დამდგარმა ერთმა ან ერთზე მეტმა მოვლენამ გავლენა მოახდინა ინვესტიციიდან მოსალოდნელ სამომავლო ფულად ნაკადებზე.

ყველა დანარჩენი ფინანსური აქტივის შემთხვევაში, გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება იქნება:

- ემიტენტის ან კონტრაქტის მნიშვნელოვანი ფინანსური სირთულეები;
- ხელშეკრულების პირობების დარღვევა, როგორიცაა ძირითადი თანხის ან პროცენტის გადაუხდელობა ან გადახდის დაგვიანება;
- მოსალოდნელია მსესხებლის გაკოტრება ან ფინანსური რეორგანიზაცია; ან აღნიშნული ფინანსური აქტივის აქტიური ბაზრის გაუჩინარება ფინანსური სირთულეების გამო.

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივების შემთხვევაში, გაუფასურების ზარალის ოდენობა განისაზღვრება, როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და სამომავლო ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებას შორის, რომელიც მიიღება ფინანსური აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეშვეობით დისკონტირებით.

თვითღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივების შემთხვევაში, გაუფასურების ზარალის ოდენობა განისაზღვრება, როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და სამომავლო ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებას შორის, რომელიც მიიღება ანალოგიურ ფინანსურ აქტივზე არსებული საბაზრო უკუგების განაკვეთის მეშვეობით დისკონტირებით. ასეთი გაუფასურების ზარალი მომდევნო პერიოდებში არ შებრუნდება.

ფინანსური აქტივის საბალანსო ღირებულება პირდაპირ მცირდება გაუფასურების ზარალით ყველა ფინანსური აქტივის შემთხვევაში. გამოწვეულია სავაჭრო დებიტორული დავალიანებები, რა შემთხვევაშიც საბალანსო ღირებულება მცირდება გაუფასურების რეზერვის ანგარიშის გამოყენებით. თუ სავაჭრო დებიტორული დავალიანება უიმედოდ ჩაითვლება, ის ჩამოიწერება გაუფასურების რეზერვის ანგარიშიდან. ჩამოწერილი თანხების შემდგომი აღდგენა ხდება გაუფასურების რეზერვის ანგარიშის

კრედიტის მხარეზე ასახვით. გაუფასურების რეზერვის ანგარიშის საბალანსო ღირებულებაში ცვლილებების აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში.

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივების შემთხვევაში, თუ მომდევნო პერიოდში გაუფასურების ზარალი შემცირდება და ეს შემცირება შეიძლება ობიექტურად უკავშირდებოდეს გაუფასურების აღიარების შემდეგ დამდგარ გარემოებას, უკვე აღიარებული გაუფასურების ზარალი შებრუნდება მოგებაში ან ზარალში ასახვის მეშვეობით იმდენად, რომ გაუფასურების შებრუნების თარიღისთვის არსებული ინვესტიციის საბალანსო ღირებულება არ აღემატებოდეს იმ ამორტიზებულ ღირებულებას, რომელიც გვექნებოდა, გაუფასურება რომ არ აღიარებულიყო.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას, როდესაც იწურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებები აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღებაზე ან როდესაც სხვა მხარეს გადასცემს ფინანსურ აქტივს და ამ აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული თითქმის ყველა რისკსა და სარგებელს. თუ კომპანია არც გადაცემს და არც ინარჩუნებს საკუთრებასთან დაკავშირებულ არსებითად ყველა რისკსა და სარგებელს და აგრძელებს გადაცემული აქტივის კონტროლს, კომპანია აღიარებს თავის შენარჩუნებულ ინტერესს აქტივში და მასთან დაკავშირებულ ვალდებულებაში, იმ თანხების ოდენობით, რომელთა გადახდაც მას შეიძლება მოუხდეს. თუ კომპანია ინარჩუნებს გადაცემული ფინანსური აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ არსებითად ყველა რისკსა და სარგებელს, კომპანია აგრძელებს ფინანსური აქტივის აღიარებას და ასევე აღიარებს მიღებული თანხებისთვის უზრუნველყოფილ ნასესხებ სახსრებს.

ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტის შემთხვევაში, აქტივის საბალანსო ღირებულებას, მიღებულ თანხას და დებიტორულ დავალიანებასა და სხვა სრულ შემოსავალში აღიარებულ და კაპიტალში დაგროვილ ჯამურ შემოსულობას ან ზარალს შორის არსებული სხვაობის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური აქტივის აღიარების არასრულად შეწყვეტის შემთხვევაში (მაგ. როდესაც კომპანია იტოვებს გადაცემული აქტივის ნაწილის გამოსყიდვის უფლებას), კომპანია ფინანსური აქტივის თავდაპირველ საბალანსო ღირებულებას გადაანაწილებს იმ ნაწილზე, რომელში მონაწილეობის შენარჩუნებასაც აღიარებს, და იმ ნაწილზე, რომელსაც აღარ აღიარებს, გადაცემის თარიღისთვის მათი ფარდობითი სამართლიანი ღირებულებების მიხედვით. აღიარებაშეწყვეტილი ნაწილისთვის მიკუთვნებულ საბალანსო ღირებულებასა და აღიარებაშეწყვეტილ ნაწილში მიღებული საზღაურისა და მასზე განაწილებული და სხვა სრულ შემოსავალში აღიარებული დაგროვილი შემოსულობის ან ზარალის ჯამს შორის სხვაობის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში. ჯამური შემოსულობა ან ზარალი, რომელიც აღიარებულია სხვა სრულ შემოსავალში ნაწილდება იმ ნაწილს, რომლის აღიარებაც გრძელდება და აღიარებაშეწყვეტილ ნაწილს შორის მათი ფარდობითი სამართლიანი ღირებულებების მიხედვით.

ფინანსური ვალდებულებები და წილობრივი ინსტრუმენტები

მოზიდულ და საკუთარ კაპიტალად კლასიფიცირება

კომპანიის მიერ გამოშვებული სავალო და წილობრივი ინსტრუმენტები კლასიფიცირდება როგორც ფინანსური ვალდებულება ან როგორც კაპიტალი, სახელშეკრულებო პირობებისა და ფინანსური ვალდებულებისა და წილობრივი ინსტრუმენტის განმარტებების მიხედვით.

წილობრივი ინსტრუმენტები

წილობრივი ინსტრუმენტი არის ხელშეკრულება, რომლითაც დასტურდება ნარჩენი ინტერესი საწარმოს აქტივში ყველა მისი ვალდებულების გამოქვითვის შემდეგ. კომპანიის საწარმოს მიერ გამოშვებული წილობრივი ინსტრუმენტების აღიარება ხდება მიღებული საზღაურის ოდენობით, რასაც აკლდება გამოშვებასთან დაკავშირებული პირდაპირი დანახარჯები.

კომპანიის საკუთარი კაპიტალის ინსტრუმენტების განმეორებით შესყიდვა პირდაპირ კაპიტალში აღიარდება ან დაიქვითება. კომპანიის წილობრივი ინსტრუმენტების ყიდვის, გაყიდვის, გამოშვების ან გაუქმებისას მოგებაში ან ზარალში შემოსულობა ან ზარალი არ აღიარდება.

ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები (რომლებიც წარმოდგენილია სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებით) აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

კომპანია ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მხოლოდ კომპანიის ვალდებულებების შესრულების, გაუქმების ან ამოწურვის შემთხვევაში. აღიარებაშეწყვეტილი ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ და გადასახდელ საზღაურს შორის სხვაობის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში.

საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი აღიარდება კომპანიის მიერ განხორციელებული შენატანების სამართლიანი ღირებულებით.

ავანსად გადახდილი გადასახადები და სხვა საგადასახადო დავალიანება

ავანსად გადახდილი გადასახადები აღირიცხება ნომინალური ღირებულებით, რასაც აკლდება მოსალოდნელი უიმედო თანხების რეზერვი. საგადასახადო დავალიანება, მოგების გადასახადის გარდა ნომინალური ღირებულებით აღირიცხება.

მიმწოდებლებისთვის გადახდილი ავანსები

მიმწოდებლებისთვის გადახდილი ავანსები თვითღირებულებით აღირიცხება, უიმედო თანხების რეზერვის გამოკლებით.

4. გადამწყვეტი მნიშვნელობის სააღრიცხვო განსჯა და შეფასების უზუსტობის ძირითადი მიზეზები

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას, რომლებიც მე-3 შენიშვნაშია აღწერილი, დირექტორებს მოეთხოვებათ განსჯა, შეფასება და დაშვებების გამოყენება იმ აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებთან დაკავშირებით, რომლებიც მზა სახით ხელმისაწვდომი არ არის სხვა წყაროებიდან. ეს შეფასებები და მათთან დაკავშირებული დაშვებები ეყრდნობა ისტორიულ გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, რომლებიც აქტუალურად მიიჩნევა. ფაქტობრივი შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს ამგვარი შეფასებებისგან.

ეს შეფასებები და საბაზისო მოსაზრებები მუდმივად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასებების გადახედვის აღიარება ხდება იმ პერიოდში, რომელშიც მოხდა ამ შეფასების გადახედვა, თუ გადახედვა გავლენას ახდენს მხოლოდ ამ პერიოდზე, ან გადახედვის პერიოდსა და სამომავლო პერიოდებში, თუ გადახედვა გავლენას ახდენს როგორც მიმდინარე, ისე სამომავლო პერიოდებზე.

5. ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან

შემოსავლის შეფასება კატეგორიების მიხედვით:

	2023	2022
მომსახურების რეალიზაცია	13,565,729	11,915,182
ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან	13,565,729	11,915,182

6. თვითღირებულება

თვითღირებულების შეფასება კატეგორიების მიხედვით:

	2023	2022
პირდაპირი ხელფასები	9,820,240	8,526,896
გადანაწილებული ცვეთის ხარჯი	165,793	54,008
სხვა	359,565	93,836
თვითღირებულება	10,345,598	8,674,740

7. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2023	2022
ხელფასი	1,074,050	445,495
წარმომადგენლობითი ხარჯი	25,353	30,785
ტრენინგის ხარჯი	40,973	19,739
იჯარა	105,251	95,757
საკონსულტაციო ხარჯი	52,102	39,581
სხვა ადმინისტრაციული ხარჯი	45,634	37,751
ცვეთა და ამორტიზაცია	41,448	18,003
საკომუნიკაციო მომსახურება	4,063	7,926
ბანკის საკომისიო	1,485	2,348
კომპიუტერის ხარჯი	380	293
მივლინების ხარჯი	39,952	22,062
რემონტის ხარჯი	-	-
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	1,430,691	719,741

8. მოგების გადასახადი

საგადასახადო კანონმდებლობის ცვლილებების ამოქმედების შემდეგ, 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, კომპანიამ მთლიანად შემოაბრუნა თავისი გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები ბასს (IAS) 12-ის „მოგებიდან გადასახადები“ შესაბამისად, რათა გადავადებული გადასახადები შეაფასოს 0%-იანი საგადასახადო განაკვეთით, რომელიც მოქმედებს გაუნაწილებელ მოგებაზე 2017 წლის 1 იანვრიდან.

2022 და 2023 წელს კომპანიამ მოგების გადასახადის ხარჯი არ აღიარა განაწილებულ მოგებაზე, რადგან 2022 და 2023 წელს დივიდენდები არ გამოუცხადებია.

2022 წელს კომპანიამ ჩაატარა 2019 – 2021 წლების საერთაშორისო კონტროლირებადი ოპერაციების აუდიტი და მიღებული რეკომენდაციიდან გამომდინარე მოახდילה წინა პერიოდის მოგების დეკლარაციების დაზუსტება.

გადახდილი მოგების გადასახადი და დარიცხული საურავი აღირებულ იქნა მიმდინარე პერიოდის არასაოპერაციო ხარჯებში.

9. ძირითადი საშუალებები

	მანქანა- დანადგარები და აქტურვილობა	ავეჯი და მოწყობილობები	კომპიუტერუ ლი ტექნიკააა	სულ
თვითღირებულება				
2022 წლის 1 იანვარი	2,014	111,339	222,437	335,790
შესყიდვები	-	-	760,277	760,277
გასვლები	-	-	-	-
2022 წლის 31 დეკემბერი	2,014	111,339	982,714	1,096,067
შესყიდვები	-	39,333	81,625	120,958
გასვლები	-	-	-	-
2023 წლის 31 დეკემბერი	2,014	150,672	1,064,339	1,217,025
ცვეთა				
2022 წლის 1 იანვარი	(1,203)	(81,448)	(104,178)	(129,321)
წლის ცვეთის ხარჯი	(351)	(13,818)	(57,589)	(71,758)
გასვლები	-	-	-	-
2022 წლის 31 დეკემბერი	(1,554)	(95,266)	(161,767)	(258,587)
წლის ცვეთის ხარჯი	(335)	(14,196)	(192,458)	(206,989)
გასვლები	-	-	-	-
2023 წლის 31 დეკემბერი	(1,889)	(109,462)	(354,225)	(465,576)

წმინდა საბალანსო ღირებულება

2022 წლის 31 დეკემბერს	460	16,073	820,947	837,480
2023 წლის 31 დეკემბერს	125	41,210	710,114	751,449

კომპანიის ძირითადი საშუალებები 2022 წლის 31 დეკემბრის და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არ იყო დაგირავებული ვალდებულებების უზრუნველყოფის სახით.

10. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

	31-დეკ-23	31-დეკ-22
ნაღდი ფულის ნაშთი ბანკში	1,039,332	415,274
სულ ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	1,039,332	415,274

ბანკში არსებული მოთხოვნამდე ნაშთები ინახება „Moody’s“ სარეიტინგო სისტემის მიერ Ba2 რეიტინგის მქონე წამყვან ქართულ ბანკში.

სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები

	31-დეკ-23	31-დეკ-22
სავაჭრო დებიტორული დავალიანებები	3,082,247	1,745,062
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები	3,082,247	1,745,062

სავაჭრო დებიტორულ დავალიანებებს პროცენტი არ ერიცხება. წლის ბოლოს ნაშთი გაუფასურებული არ არის.

11. საწესდებო კაპიტალი

2021 წლის 30 აპრილს კომპანიის დამფუძნებლების გადაწყვეტილებით დამფუძნებლებისგან მიღებული სესხების ძირი თანხა, 925, 027 ლარის ოდენობით (2020 წელს : 952,277 ლარი) და მასზე დარიცხული პროცენტი 360,564 ლარის მოცულობით (2020 წელს: 342,107 ლარი) შეტანილი იქნა საწესდებო კაპიტალში. შესაბამისად, აღნიშნულმა ოპერაციამ გამოიწვია საწესდებო კაპიტალის ზრდა 1,285,591 ლარით. ამ თარიღის შემდეგ დამატებითი შენატანები არ განხორციელებულა.

12. სავაჭრო და სხვა კრედიტორული ვალდებულებები

	31-დეკ-23	31-დეკ-22
გასაცემი ხელფასები	-	-
სავაჭრო კრედიტორული ვალდებულებები	(1,648)	(15,662)
სულ სავაჭრო და სხვა კრედიტორული ვალდებულებები	(1,648)	(15,662)

სავაჭრო კრედიტორული დავალიანება უპროცენტოა და, ჩვეულებრივ, 60 დღეში იფარება.

13. გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან და დაუფარავი ნაშთები

დაკავშირებული მხარეები მოიცავს მფლობელებს, საერთო მფლობელობას და კონტროლს დაქვემდებარებულ საწარმოებს, ასევე უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრებს.

დაკავშირებული მხარეები	ურთიერთობის სახე
Paddy Power Holdings Limited	მშობელი კომპანია
დირექტორთა საბჭო	ხელმძღვანელობა
SINGULAR TRADING LTD	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები

დაკავშირებულმა მხარეებმა შეიძლება დადონ ისეთი გარიგებები, როგორსაც არ დადებდნენ დაუკავშირებელი მხარეები და დაკავშირებულ მხარეებს შორის დადებული გარიგებები შეიძლება არ დაიდოს იმავე პირობებით, როგორითაც დაიდებოდა გარიგებები დაუკავშირებელ მხარეებს შორის.

თითოეული შესაძლო ურთიერთკავშირის განხილვისას, ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას. კომპანიას დაკავშირებულ მხარეებთან ჰქონდა შემდეგი ნაშთები და გარიგებები:

გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან

2022

	დამფუძნებლები	ხელმძღვანელობა	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები
შემოსავლები	-	-	11,915,182
ხელფასი	-	662,418	-

2023

	დამფუძნებლები	ხელმძღვანელობა	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები
შემოსავლები	-	-	13,565,729
ხელფასი	662,418	-	-

დაკავშირებული მხარის ნაშთები

	2023 წლის 31 დეკემბერი
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოების მიმართ	3,082,247
	2022 წლის 31 დეკემბერი
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოების მიმართ	1,745,062

14. პირობითი ვალდებულებები

ვალდებულებები – კომპანიას არ გააჩნია არსებითი დაუფარავი ვალდებულებები 2023 წლის 31 დეკემბრის და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

სამართალწარმოება - 2022 წლისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანია არ იყო ჩართული რაიმე მნიშვნელოვან სამართალწარმოებაში. ხელმძღვანელობა სასამართლო დავებთან დაკავშირებით არსებით დაურიცხავ ზარალს არ მოელის და, შესაბამისად, მას წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში ანარიცხები არ გაუთვალისწინებია.

გადასახადები - საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა და პრაქტიკა მუდმივი განვითარების პროცესში იმყოფება შესაბამისად ის ცვალებად ინტერპრეტაციას და ხშირ ცვლილებებს ექვემდებარება, რაც შესაძლოა უკუქმედების ძალის მქონე იყოს. ამასთანავე, საგადასახადო ორგანოების მიერ კომპანიის ოპერაციებთან და საქმიანობებთან დაკავშირებული კანონმდებლობისა ინტერპრეტაცია შეიძლება არ ემთხვეოდეს კომპანიის ხელმძღვანელობის ინტერპრეტაციებს. საგადასახადო პერიოდები ღია რჩება ხუთი წლის განმავლობაში საგადასახადო უწყებების მიერ გადასახედად. შედეგად, საგადასახადო ორგანოებმა

შეიძლება ეჭვქვეშ დააყენონ გარიგებები, ხოლო კომპანიას შესაძლოა დაერიცხოს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები.

15. ანგარიშგების პერიოდის შემდგომი მოვლენები

უკრაინაში ომის შედეგად ბევრმა წამყვანმა ქვეყანამ და ეკონომიკურმა კავშირმა უმკაცრესი ეკონომიკური სანქციები დაუწესა რუსეთს, მათ შორის რუსულ ბანკებს, სხვა საწარმოებსა და ფიზიკურ პირებს. ომის დაწყების შემდეგ რუსული რუბლი უცხოურ ვალუტებთან მიმართებით მნიშვნელოვნად გაუფასურდა, ასევე გაუფასურდა რუსული კომპანიების ფასიანი ქაღალდების ღირებულება. სიტუაცია ჯერ კიდევ ვითარდება, თუმცა უკვე გამოიწვია ჰუმანიტარული კრიზისი და უზარმაზარი ეკონომიკური ზარალი უკრაინაში, რუსეთსა და დანარჩენ მსოფლიოში. უკრაინა და რუსეთი საქართველოს მნიშვნელოვანი სავაჭრო პარტნიორები არიან. მოსალოდნელია, რომ ომს უარყოფითი გავლენა ექნება საქართველოს ეკონომიკაზე. რადგან ომი კვლავ მიმდინარეობს, შეუძლებელია კომპანიის საქმიანობაზე გავლენის საიმედოდ შეფასება, რადგან არსებობს განუსაზღვრელობა ზოგადად გავლენის სიმძლავრესთან დაკავშირებით.

კომპანიის ხელმძღვანელობა ადევნებს თვალს ეკონომიკურ ვითარებას შექმნილ გარემოში.

ზემოთ ხსენებულ მოვლენებსა და ვითარებებთან დაკავშირებული პოტენციური გავლენის სიმძაფრის, მათი წარმოშობის შესაძლებლობის გათვალისწინებით, ხელმძღვანელობას სჯერა, რომ არ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობები, რომლებმაც შეიძლება მნიშვნელოვანი ეჭვი გამოიწვიოს და, შესაბამისად, წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებით.

16. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა დირექტორის მიერ და მის გამოშვებაზე ნებართვა გაიცა 2024 წლის 18 სექტემბერს.

შპს „სინგულარ ჯგუფი“
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
ქართულ ლარში

	შენიშვნები	2023	2022
ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან	5	13,565,729	11,915,182
თვითღირებულება	6	(10,345,598)	(8,674,740)
საერთო მოგება		3,220,131	3,240,442
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	7	(1,430,691)	(719,741)
მიწოდების და მარკეტინგის დანახარჯები		(10,438)	-
სხვა საოპერაციო ხარჯი		-	(321,850)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული მოგება		1,779,002	2,198,851
ფინანსური ხარჯი		-	-
სხვა არა საოპერაციო ხარჯი		-	(411,633)
წმინდა სავალუტო ზარალი/მოგება		52,231	(266,002)
წლის მოგება		1,831,233	1,521,216
მოგების გადასახადი	8	-	-
წლის მოგება/(ზარალი)		1,831,233	1,521,216
სხვა სრული შემოსავალი		-	-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი/(ზარალი)		1,831,233	1,521,216

გამოსაცემად დამტკიცებულია და ხელმოწერილია 2024 წლის 24 სექტემბერს

Lormac O'Brien
დირექტორი (კორმაკ თომას ო'ბრაიენი)

5-18 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს